ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, **1 აგვისტო, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 16:15 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

01 აგვისტო, 2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. **შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიში.**

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი: რაულ ცინცაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო კიდევ ოთხი საკითხი, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ ცვლილება სხდომაზე განსახილველად და წარმოადგინა №06 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15**

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. **„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. **„მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №გ-95.95251501 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. **მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

6. **ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ - შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

7. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

8. **შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიში.**

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი: რაულ ციწცაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 აგვისტოს №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95252132-95, 01.08.2025 წელი) და წარმოადგინა ცვლილებათა რეესტრი შემდეგი სახით:

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
	02 03 01 02	სოციალური სახლის მშენებლობა	250 000	
	02 02 01 01	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	220 000	
	02 02 01 02	სოფელ ზენდიდის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა	8 200	
	02 02 01 03	სოფელ ახოს ნაჭვავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა	9 800	
	02 02 01 04	სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა	6 700	
	02 02 01 05	სოფელ ახოში ძერვენახის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა	8 600	
	02 02 01 06	სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა	15 700	
	02 02 01 07	სოფელ კვაშტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა	42 200	

		ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა		
	05 01 04 01	სოფელ აქუცაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	22 600	
	05 01 04 02	სოფელ ხარაულაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია	11 000	
	05 01 04 03	დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	8 500	
	05 01 04 04	მთა სასადილოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	294 200	
	05 01 04 05	მთა ნაკონაღვარში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	372 300	
	01 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	80 000	არაფინანსური აქტივი
	01 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	50 000	შრომის ანაზღაურება
		გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	223 000	დელეგირებული უფლება მოსილების განსახორციელებლად
ჯამი			1 622 800	X
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 019 800	
	02 09	მთა ,,ტბათში" ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	250 000	
	02 03 03 01	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა	700	
	02 02 01 08	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა	10 000	
	01 02 01	სარეზერვო ფონდი	23 300	
		მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	63 200	
		უსახური შენობების დემონტაჟი	32 800	
		სსიპ ვახტანგ პაპუნიის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა	223 000	
	01 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	0	მუხლების დაზუსტება: შრომის ანზღაურებიდან სოციალურში 15600 ლარი

	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლების დაზუსტება: შრომის ანზღაურებიდან სოციალურში 13100 ლარი
	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	0	მუხლების დაზუსტება: სხვა კაპიტალურიდან სუბსიდიაში 1435 ლარი
	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	0	მუხლების დაზუსტება: არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურებაში 29800 ლარი და სოციალურში 3000 ლარი,
	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	0	მუხლების დაზუსტება: საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯებში 16000 ლარი
		ასიგნებების ჯამი	1 622 800	X
		ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი	0	X
		ნაშთიდან მოსესხების შემცირება		X
		საერთო ბალანსი	0	X

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:10; 01.08.2025 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95252026-95, 27.07.2025 წელი) და გამარტა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე დასახელებული კანონის სათაური შეიცვალა და განისაზღვრა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ შესაბამისად ადგილობრივ დონეზე არსებულ ნორმატიულ აქტებშიც განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სწორედ აქედან გამომდინარე „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ საჯარო მოხელის 2 საშტატო ერთეულის სახელწოდებაში შევიდა ცვლილება კერძოდ საშტატო ნუსხას დაემატა ახალი

დასახელებებით 2 შტატი (პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში) და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებებით განხორციელდა დასახელებულ პოზიციებზე დასაქმებული ადამიანების საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჰორიზონტალური გადაყვანა ახალ პოზიციებზე აქედან გამომდინარე არსებული საშტატო ერთეულები საშტატო ნუსხიდან უნდა იქნას ამოღებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:11; 01.08.2025 წელი).

3.მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95251901-95, 08.08.2025 წელი.) და განმარტა, რომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 25 აგვისტო, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2025 წლის 29 აგვისტო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95252131;01.08.2025 წელი).

4. მოისმინეს: „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №გ-95.95251501 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ეკა ქაჯაია-კომახიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს

დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №გ-95.95251501 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95252091-95, 28.07.2025 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №გ-95.95251501 განკარგულების ბათილად ცნობა, რათა სამართლებრივად ახლიდან მოწესრიგდეს და დამტკიცდეს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისებით მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95,95252132; 01.08.2025 წელი).

5.მოისმინეს: მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ეკა ქაჯაია-კომახიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95252091-95, 28.07.2025 წელი.) და განმარტა, რომ წესი ვრცელდება საქართველოს ან/და ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტული წრეებში აღზრდილ და ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სპორტსმენებსადა მწვრთნელებზე. ასევე იმ მწვრთნელებს, რომლებიც სამწვრთნელო საქმიანობას ახორციელებენ ქედის მუნიციპალიტეტში და რომელთა მიერ მომზადებულმა ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებმა დაიკავეს წინამდებარე განკარგულებით განსაზღვრული საპრიზო ადგილები. ფულადი ჯილდო გაიცემა წლის განმავლობაში ამ განკარგულების დანართი №2-ის და №3-ის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ქედის მუნიციპალიტეტის სახელით და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებზე, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, ტურნირებზე, ჩემპიონატებზე და სხვა ასპარეზობებზე წარადგინა სპორტის ფედერაციამ, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა სასპორტო დაწესებულებამ ან შესაბამისმა ორგანიზაციამ და შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო პირადი ინიციატივით და რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95,95252133; 01.08.2025 წელი).

6. მოისმინეს: ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ - შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ - შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასთან მიერთების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95252092-95, 28.07.2025 წელი.) და აქვე განმარტა რომ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის. იმისათვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არა მარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული. როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი თანხმობა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95,95252135; 01.08.2025 წელი).

7. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95252092-92, 27.08.2025 წელი.) საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95252136; 01.08.2025 წელი).

8.მოისმინეს: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიში.

მომხსენებელმა რაული ცინცაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიში (წერილის ნომერი №13/95251991-95, 18.08.2025 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა პირველ რიგში საპირფარეშოების მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რადგანაც მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტურიზმის განვითარებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის გაწეული საწმიანობისათვის და წარმატებები უსურვა.

შემდეგ, კენჭი უყარა შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2024 წლის სამუშაო ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95252134; 01.08.2025 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 16:15 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**